ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 57
05/12/2019

57-04-4-201912051341

ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქ. №24-ში მდებარე 3 ერთეული საცხოვრებელი ბინის და დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქ. №15-ში მდებარე 2 ერთეული საცხოვრებელი ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე 3 ერთეული საცხოვრებელი ბინა (ს/კ: 21.03.35.365.01.023; 21.03.35.365.01.025; 21.03.35.365.01.030;) და დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე 2 ერთეული საცხოვრებელი ბინა (ს/კ: 21.03.32.071.01.022; 21.03.32.071.01.009).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2019 წლის 29 ნოემბრის №2551/02 წერილით ითხოვს აღნიშნული 5 (ხუთი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის), უსასყიდლოთ, საკუთრების უფლებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

`ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს მის საკუთრებაში რეგისტრირებული 5 (ხუთი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის) უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემას, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში იქ მცხოვრებ მოქალაქეებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე 3 ერთეული ქონება (საცხოვრებელი ბინა) (ს/კ: 21.03.35.365.01.023; 21.03.35.365.01.025; 21.03.35.365.01.030;) და დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე 2 ერთეული ქონება (საცხოვრებელი ბინა) (ს/კ: 21.03.32.071.01.022; 21.03.32.071.01.009) შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (ოჯახებისათვის) საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით, თანახმად დანართი №1-ის შესაბამისად.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი №1

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში გადასაცემი ქონების ნუსხა

№	დასახელება	მისამართი	ფართი კვ.მ	მიწის ფართი კვ.მ	საკადასტრო კოდი	საკუთრება
1	საცხოვრებელი ბინა №23	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №24	107,80	თანასაკუთრება	21.03.35.365.01.023	მუნიციპალური
2	საცხოვრებელი ბინა №25	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №24	74,60	თანასაკუთრება	21.03.35.365.01.025	მუნიციპალური
3	საცხოვრებელი ბინა №30	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №24	91,20	თანასაკუთრება	21.03.35.365.01.030	მუნიციპალური
4	საცხოვრებელი ბინა №22	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15	59,40	თანასაკუთრება	21.03.32.071.01.022	მუნიციპალური
5	საცხოვრებელი ბინა №9	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15	72,50	თანასაკუთრება	21.03.32.071.01.009	მუნიციპალური